კითხვა-პასუხი ქვეყნებისთვის, რომლებიც წარადგენენ განაცხადს ათასწლეულის დახმარების კორპორაციის დაფინანსების მისაღებად

შემდეგი კითხვები და პასუხები გამიზნულია იმ ქვეყნების შემდგომი ხელმძღვანელობისათვის, რომლებმაც მუშაობენ განაცხადზე ათასწლეულის დახმარების კორპორაციის (MCC) დაფინანსების მისაღებად. მსგავსი კითხვები ათასწლეულის დახმარების კორპორაციის ჯგუფებს დაუსვეს 2004 წლის მაისსა და ივნისში 16 პროგრამაში მინაწილეობაზე უფლებამოსილ ქვეყანაში მოგზაურობისას.

რა ფუნქია აქვს ხელშეკრულებას?

ხელშეკრულება წარმოადგენს შეთანხმებას ათასწლეულის დახმარების კორპორაციასა (MCC) და ქვეყანას შორის, რომელშიც მოცემულია ამ ქვეყნის ათასწლეულის დახმარების კორპორაციის პროგრამის მიზნები, ამ პროგრამის განხორციელებისა და მონიტორინგის ძირითადი გეგმები, რა ფონდები იქნება გამოყოფილი პროგრამის მხარდაჭერისთვის MCC-sa და მოცემული ქვეყნის მიერ, და ამ ქვეყნისა და MCC-s სხვა ვალდებულებები. ხელშეკრულებას შეიძლება დანართის სახით თან ახლდეს სპეციფიკური ხელშეკრულებები, ან დამატებითი დეტალები პროგრამის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების შესახებ. ხელშეკრულების დამატებითი მოთხოვნები მოცემულია 2003 წლის "ათასწლეულის დახმარების აქტის" 609-ე პარაგრაფში, რომელიც "ათასწლეულის დახმარების კორპორაციის" საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს.

რა გზით შემოვა ფონდები "კომპაქტიდან"?

"კორპორაციას" გააჩნია უფლებამოსილება და მიზნად ისახავს, საჭიროების მიხედვით სრულად დააფინანსოს მრავალწლიანი კონტრაქტები, რომლებიც დაიდება დახმარების მიმღებ ქვეყანასთან ხელშეკრულების დასაწყისში. "ათასწლეულის დახმარების კორპორაციის" დაფინანსების გამოყოფა მოხდება პერიოდულად, ხელშეკრულების სრული ვადის განმავლობაში, "კორპორაციის" პროგრამულ ფონდებზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული დაწესებულების საქმიანობისა და საჭიროების გათვალისწინებით. ბევრ შემთხვევაში აღნიშნული დაწესებულება შეიძლება იყოს არა ქვეყნის მთავრობა, არამედ სხვა ორგანიზაცია. ეს საკითხი ქვემოთ იქნება განხილული დაფინანსების კონტროლის შესახებ დასმულ კითხვაში.

რა განსხვავებაა ქვეყნის განაცხადსა და "კორპორაციასა" და ქვეყანას შორის დადებულ "კომპაქტს" შორის?

პროგრამაში მინაწილეობაზე უფლებამოსილ თითოეულ ქვეყანას ეთხოვება წარმოადგინოს განაცხადი "ათასწლეულის დახმარების კორპორაციის" დაფინანსებაზე. განაცხადის ძირითადი ელემენტები აღწერილია "2004 ფისკალური წლის ათასწლეულის დახმარების პროგრამისათვის განაცხადების შემუშავების მითითებებში", რომელიც "ათასწლეულის დახმარების კორპორაციამ" გამოაქვეყნა 30 აპრილს. ძირითადად განაცხადში მითითებული უნდა იყოს: (ა) მდგრადი ეკონომიკური განვითარების მეშვეობით სიღარიბის

შემცირების პრიორიტიტული მიმართულებები, (ბ)როგორ განისაზღვრა ეს პრიორიტეტები, (გ)წარმოდგენილი პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელების გეგმა და რამდენად შეესაბამება ეს გეგმა დონორების სხვა პროგრამებს, (დ) მისაღები ზომების ზეგავლენა სიღარიბის შემცირებაზე, (ე) როგორ გაიზომება რაოდენობრივად ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების ხელის შემშლელი პირობების დაძლევის პროგრესი, (ვ) სამთავრობო პოლიტიკის რეფორმირების უწყვეტი გეგმა. განაცხადი ასევე უნდა შეიცავდეს მისი შემუშავების პერიოდში ჩატარებულ საკონსულტაციო პროცესის აღწერას.

მოლაპარეკებისა და დისკუსიების შემდეგ, "ათასწლეულის დახმარების კორპორაცია" და ქვეყანა დებენ ხელშეკრულებას.

როდის უნდა დაიწყოს ქვეყანამ მოლაპარაკებები "ათასწლეულის დახმარების კორპორაციასთან"?

ქვეყანამ სასურველია რაც შეიძლება ადრე დაიწყოს მოლაპარაკებები რათა "კორპორაციასთან" დაკავშირებული ყველა საკითხი და დახმარების განაცხადის ყოველი დეტალი გარკვეულ იქნას.

"ათასწლეულის დახმარების კორპორაცია" ხელშეკრულების შემუშავებას უყურებს როგორც მრავალჯედარ პროცესს, რომელშიც "კორპორაცია" და მოცემული ქვეყანა თანაბრად არიან ჩაბმულნი ქვეყნისათვის ეფექტური პროგრამის შემუშავებაში, რომლის მთავარი საკითხებიც ხაზგასმით იყო აღნიშნული "2004 ფისკალური წლის ათასწლეულის დახმარების პროგრამისათვის განაცხადების შემუშავების მითითებებში". ქვეყნებმა სასურველია შემოთავაზებულ იდეებზე მოლაპარაკებები აწარმოონ "კორპორაციასთან" მანამდეც, ვიდრე განაცხადს გააკეთებდნენ. ასეთ ადრეულ საფეხურზე მოლაპარაკებების წარმოება ხელს შეუწყობს განაცხადის ისეთი გზით წარმართვას, რომელიც ორივე მხარისთვის არის მისაღები.

რამდენჯერ შეიძლება განაცხადის წარდგენა?

"ათასწლეულის დახმარების კორპორაცია" არ აიცილებს არცერთი ქვეყნის განაცხადს, ერთხელ მიმართავს ეს ქვეყანა "კორპორაციას" დახმარებისთვის თუ მრავალჯერ, თუკი მოცემული ქვეყნის მზაობა შეთავაზებული პროგრამის გაუმჯობესებისა უდაო იქნება და იგი კეთილი ნებით აწარმოებს მოლაპარაკებებს და იღწვის შეიქმნას ორივე მხარესათვის მისაღები ხელშეკრულება. "კორპორაციას" კარგად ესმის, რომ ზოგიერთ ქვეყანას სხვებზე მეტი დრო სჭირდება განაცხადის სრულყოფილი ფორმის მისაღწევად.

როგორ მოეწყობა მოლაპარაკებები ქვეყანასა და "ათასწლეულის დახმარების კორპორაციას" შორის?

"კორპორაცია" მოითხოვს რომ თითოეულმა ქვეყანამ დაასახელოს საკონტაქტო ჯგუფი. თავის მხრივ "კორპორაცია" ასახელებს კონკრეტული ქვეყნის საკონტაქტო ჯგუფს. "კორპორაცია" და ქვეყნის საკონტაქტო პირები აწარმოებენ კომუნიკაციას ქვეყნისა და "კორპორაციის" თანამშრომლებს შორის.

რამდენი კონსულტაციაა საჭირო?

"ათასწლეულის დახმარების კორპორაციას" არ აქვს განსაზღვრული საზომი ან სპეციფიური მეთოდოლოგია იმ კონსულტაციების ხასიათსა თუ რაოდენობაზე, რომლებიც ქვეყანამ უნდა მიიღოს განაცხადის მომზადების პერიოდში. "ათასწლეულის დახმარების კორპორაციის" საკანონმდებლო საფუძველში ნახსენებია მოთხოვნა, რომ განაცხადის უფლების მქონე ქვეყნების მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ როგორც

ქალაქების, ასევე ცენტრიდან მოშორებული დასახლებული ადგილების ადგილობრივი ღარიბი მოსახლეობის, მათ შორის ქალების, მოთხოვნილებები, და ამ საკითხებზე იმსჯელონ კერძო და მოხალისეთა ორგანიზაციებთან, ბიზნესის წარმომადგენლებთან და სხვა დონორებთან. "კორპორაცია" რჩევას იძლევა ჩატარდეს ფართო ხასიათის კონსულტაციები, როგორც ზემოთ აღნიშნულ, ასევე სხვა ორგანიზაციებთან ქვეყნის ყველა რეგიონში. "კორპორაცია" არ ელის ერთსულოვნებას, და აღიარებს რომ ჭეშმარიტი კონსესუსის მიღწევა ყოველთვის არ არის შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კონსულტაციები ნამდვილად შედეგიანად ჩატარდება, და მათ არ ექნებათ მხოლოდ ფორმალური ხასიათი, და რომ განაცხადში აისახება ერთი ან რამდენიმე ისეთი პრიორიტეტი, რომელზეც თანხმობა ფართოდ იქნება მიღწეული.

აქვთ თუ არა ქვეყნებს უფლება განაცხადის შემუშავებაში დაიხმარონ USAID, სახელმწიფო დეპარტამენტი, და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სამთავრობო სააგენტოები?
არის თუ არა შესაძლებელი, რომ აშშ-ის მთავრობამ ახალი ტეკნიკური დახმარება აღმოუჩინოს ქვეყანას რათა მან უფრო ფართოდ განსაზღვროს ხელშეკრულების მიზნები და ამოცანები?

"ათასწლეულის დახმარების კორპორაციას" მიაჩნია, რომ განაცხადის უფლების მქონე ქვეყნებს უნარი უნდა შესწევდეთ თვითონ დასახონ პრიორიტეტები უწყვეტი ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შესამცირებლად, და ასევე თვითონ შეიმუშავონ განაცხადი. გარდა ამისა, განაცხადი საზოგადოების ფართო ფენების ხედვას უნდა ასახავდეს. იმისათვის, რომ ქვეყანას საშუალება მიეცეს თვითონ განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები, აშშ-ს სხვა სამთავრობო სააგენტოებს ეთხოვათ არ გამოხატონ თავიანთი პოზიცია, ან წაახალისონ ქვეყნის განაცხადის რაიმე პრიორიტეტული მიმართულება ან სპეციფიკური ასპექტი. (მიუხედავად ამისა, "ათასწლეულის დახმარების კორპორაცია" გაითვალისწინებს აშშ-ს სამთავრობო სააგენტიების შეხედულებებს, როცა საქმე შეეხება განაცხადებსა და ქვეყნისთვის საჭირო სპეციფიურ საკითხებს.)

პრიორიტეტების განსაზღვრისა თუ განაცხადის შემუშავების ადრეულ სტადიაში აშშ-ს მთავრობის მხრიდან ტექნიკური დახმარების გაწევა არ არის მიზანშეწონილი, რადგან ეს განიხილება როგორც ქვეყნის საქმეებში ჩარევა. მიუხედავად ამისა, "კორპირაცია" არ იქნება წინააღმდეგი თუკი ქვეყნები პროცესში ჩართავენ სხვა ისეთ ორგანიზაციებს, რომელნიც ტექნიკური დახმარების გასაწევად ფინანსდებიან არა აშშ მთავრობისაგან.

თუ მოცემულ ქვეყანაში უკვე ფუნქციონირებენ აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტები ან პროგრამები, რომელთა წესდებებშიც წინასწარ ჩადებულია რჩევის მიცემა და დახმარების გაწევა ქვეყნის მთავრობისთვის პროირიტეტების დადგენასა და ინვესტიციების არჩევაში, გთხოვთ მოელაპარაკოთ "კორპორაციასა" და პროექტის მენეჯმენტს შემდგომი თანამშრომლობის გზების დასადგენად.

ვინ შეიძლება ქვეყანამ ჩართოს "ათასწლეულის დახმარების კორპორაციის" განაცხადის შემუშავებაში? ადგილობრივი თუ უცხოელი კონსულტანტები? ადგილობრივი თუ უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციები? უცხოელი დონორები, როგორიცაა UNDP, სხვა ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმების მქონე ორგანიზაციები? აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას იხდის ქვეყანა დახმარების საზღაურს (გადახდილი ქვეყნისა არ მესამე მხარის მიერ) თუ დახმარება უსასყოდლოდ ხორციელდება?

“ათასწლეულის დახმარების კორპორაცია” ურჩევს ქვეყნებს განაცხადის შემუშავებაში გამოიყენონ თავიანთი მოქალაქეები და ადგილობრივი რესურსები იმისათვის, რომ განაცხადი ნამდვილად ქვეყნის საკუთრება იყოს, ასევე ხელი შეეწყოს ქვეყნების “ინტელექტუალურ ინფრასტრუქტურს” (პროფესიული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები) განვითარებას. მიუხედავად ამისა “კორპორაცია” არ კრძალავს განაცხადის შემუშავებაში კონტრაქტორების ჩართვას და არ ანსხვავებს დაფინანსებულია დახმარება “განვითარების ოფიციალური დახმარების” მეშვეობით, სპეციალურად გადახდილია ქვეყნის მიერ თუ გაწეულია უსასყიდლოდ. თუმცა, ასეთი რესურსების გამოყენების შესახებ “კორპორაცია” საქმის კურსში უნდა იყოს.

საბოლოო ჯამში, მთავრობა, საზოგადოებასთან მრავალმნიშვნელოვანი კონსულტაციების შედეგან შემუშავებული, განაცხადის უდაო და ერთმნიშვნელოვანი მფლობელი უნდა იყოს. განაცხადი, რომელიც არ ასახავს ქვეყნის ასეთ მფლობელობას, არ იქნება სერიოზულად განხილული “ათასწლეულის დახმარების კორპორაციის” მიერ.

შესაძლებელია თუ არა ტექნიკური დახმარების მიღება აშშ-ს მთავრობის მხრიდან ხელშეკრულების დადების საბოლოო საფეხურზე? და თუ შესაძლებელია, როდის?

“ათასწლეულის დახმარების კორპორაციის” დაფინანსების განაცხადზე მსჯელობის დროს ქვეყანას შესაძლებელია გაეწიოს ტექნიკური დახმარება პროგრამის მიზნების მისაღწევად შემოთავაზებული სპეციფიკური საქმიანობების რაციონალურობის ან ღირებულების შესაფასებლად. დახმარება გაწეულ იქნება იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანა დაამტკიცებს რომ ამგვარი მომსახურების მიღება სხვა გზით შეუძლებელია. ამასთან, დახმარება შესაძლებელია გაწეულ იქნას განაცხადის ეკონომიკური არგუმენტირებისათვის, ფინანსურ და ფისკალურ მენეჯმენტთან, ინჟინერულ რაციონალურობასთან, ღირებულების გაანგარიშებასთან, მონიტორინგსა და შეფასებასთან, ასევე განხორციელების დაგეგმვასა და მენეჯმენტთან დაკავშირებით. ასეთ გადაწყვეტილებებს “კორპორაცია” მიიღებს თითოეული ქვქყნის მიმართ ინდივიდუალურად, კონსულტაციებზე დაყრდნობით.

მონიტორინგისა და შეფასების რა სისტემა უნდა იყოს ჩადებული “კომპაქტში”?

ყველა ხელშეკრულება რომელიც დამტკიცებულია ”კორპორაციის” მიერ დასაფინანსებლად უნდა შეიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების გეგმას, რომელმას უნდა დაადგინოს პროგრამის წარმატების გაზომვის პარამეტრები ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებასთან მიმართებაში.

მონიტორინგისა და შეფასების გეგმამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის პროგრამის როგორც საერთო, ასევე ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი შუალედური მიზნები. გეგმაში აგრეთვე უნდა აისახოს ძირითადი მონაცემები და მოქმედების მიზნები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი გახდება საქმიანობის პროგრესის შეფასება-გაზომვა. პროგრამის განხორციელების პერიოდში ასეთი ზომები დაეხმარება მენეჯერებს შეაფასონ პროგრამის ცალკეული ელემენტების განხორციელების წარმატებულობა, და, საჭირიების შემთხვევეში, ცვლილებებიც შეიტანონ მათში. ეს ზომები აგრეთვე საშუალებას მისცემს სხვა მხარეებს მონაწილეობა მიიღონ გეგმის განხორციელების მონიტორინგში.

პროექტში აგრეთვე ნათლად უნდა იქნას აღწერილი ზეგავლენის შეფასების სკურპულოზური პროცესი, მეთოდოლოგიაზე ფოკუსირებით, იქნება ეს კვლევების ჩატარება თუ მონაცემების შეგროვება. “ათასწლეულის დახმარების კორპორაციის” პროგრამის საქმოანობის ზეგავლენის შეფასებამ ან ფორმალურ

შემოწმებამ შესაძლებელია სხვადასხვა სახე მიიღოს, რაც დამოკიდებულია ინდივიდუალურ პროგრამაზე. შეფასებამ შესაძლებელია მოიცვას კითხვები, როგორიცაა: რატომ არის პროგრამა წარმატებული ან წარუმატებელი მიზნების მიღწევასთან მიმართებაში ან იყო თუ არა პროგრამა ყველაზე რენტაბელური საშუალება დასახული მიზნების მისაღწევად.

სადაც მიზანშეწონილია, "კორპორაციამ" ან ქვეყანამ შეიძლება მოინდომონ ექსპერიმენტული დიზაინის გამოყენება ან დაუგეგმავი კონტროლის ჩატარება, რათა უკეთ გაიგონ ამა თუ იმ განსაზღვრული ქმედების გავლენა. წინასწარ მოფიქრებული და კარგად დამუშავრბული მეთოდების გამოყენებით, ნათელი მიზნების დასახვითა და საქმიანობის მონიტორინგის გეგმის განხორციელების მეშვეობით მიღებული იქნება მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფორმალური შემოწმებისა და ზეგავლენის შეფასების ჩასატარებლად.

რა სახის სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყანა ფონდებისა და შესყიდვების მიზნობრივად გამოყენების ანგარიშვალდებულობის უზრუნველსაყოფად?

ხელშეკრულების ნაწილი იქნება ფისკალური ანგარიშმგებლობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს იმ ორგანიზაციის ან დაწესებულების სახეობას რომელმაც უნდა განახორციელოს "კორპორაციის" ფონდების ადმინისტრირება, საბუღალტრო საქმიანობის, ხარჯებისა და შესყიდვების მენეჯმენტის დეტალების ჩათვლით.

"ათასწლეულის დახმარების კორპორაციის" ფონდების მენეჯმენტი უნდა აკმაყოფილებდეს საკანონმდებლო და ნდობის მოთხოვნებს, რაც მოეთხოვება ორგანიზაციას, რომელიც იყენებს აშშ-ს გადასახადების გადამხდელთა ფულს. "კორპორაცია" შესაბამის გულმოდგინებას გამოიჩენს რათა დაწვრილებით გაეცნოს მოცემული ქვეყნის ფისკალურ ანგარიშვალდებულების გეგმას და შეაფასოს შესაბამისი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უნარი და შესაძლებლობები.

ამ მიზნის მისახწევად შესაძლებელია იქნას გამოყენებული რამდენიმე სხვადასხვა მექანიზმი. ეს შეიძლება იყოს ფინანსური ან საბუღალტრო ინსტიტუციების გამოყენება, არსებული სამთავრობო მენეჯმენტის სისტემები, ხელშეკრულების ფონდების სამართავად მთავრობის ფარგლებში ფინანსური მენეჯმენტის განცალკევებული ერთეულიების და ანგარიშების შექმნა, ან დამოუკიდებელი მხარის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ფონდის დაფუძნება, "კორპორაციის" გადარიცხვების ზედამხვედელობისა და ანგარიშგებისათვის.

შემოთავაზებული ერთეულის, ორგანიზაციის ან ინსტიტუციის შეფასებისას "ათასწლეულის დახმარების კორპორაცია" განსაკუთრებით შეაფასებს შემდეგს:

- ფონდების კონტროლი და დოკუმენტაცია
- მოვალეობათა განაწილება და შიდა კონტროლი
- თანმიმდევრული საანგარიშმგებლო მეთოდოლოგიები, სტანდარტები და სისტემები
- დროული და შინაარსიანი ანგარიშების გაკეთების უნარი
- სრული და მართებული ფინანსური ინფორმაციის დროული საჯაროობის პრაქტიკა
- ნაღდი ფულის მართვის პრაქტიკა
- მომწოდებლებისთვის დროული ანაზღაურება
- შესყიდვებისა და ხელშეკრულების პრაქტიკა, ყველა შესყიდვის საჯაროობის ჩათვლით
- შემოთავაზებული აუდიტის გეგმა

რატომ უნდა დაასახელონ ქვეყნებმა თავიანთი განაცხადის ბენეფიციარები?

“ათასწლეულის დახმარების კორპორაციის” დაფინანსების განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს მიზნები, რომელთა მიღწევა მოიტანს ეკონომიკურ აღმავლობასა და სიღარიბის შემცირებას მოქალაქეების ფართო ფენებისათვის. ქვეყნებმა უნდა მიუთითონ თუ როგორ აპირებენ ისინი ამის გაკეთებას, უშუალო ბენეფიშიარების აღწერის ჩათვლით. სადაც შესაძლებელია, ბენეფიციარები უნდა დაჯგუფდნენ შემოსავლის დონის, სქესისა და ასაკის მიხედვით. ამისათვის ქვეყნებს დასჭირდებათ გაანალიზონ, თუ რა გავლენა ექნება შემოთავაზებულ პროგრამას მოსახლეობის იმ ძირითად ჯგუფებზე, ვიზეც განკუთნილია ზეგავლენა. ამა თუ იმ ქვეყნის განაცხადის შეფასებისას “კორპორაცია” მიაქცევს ყურადღებას არის თუ არა პროგრამა გათვლილი სავარაუდო ბენეფიციარებზე.

რა კონტრიბუციას ვარაუდობს ხელშეკრულება მიმღები მხარისაგან?

ამ ეტაპზე არ არის არავითარი სპეციფიური ვალდებულება ან ვარაუდი მიმღები მხარისაგად კონტრიბუციის თაობაზე, თუმცა ჩვენ ვაღიარებთ, რომ მიმღები მხარის კონტრიბუცია განიხილება, როგორც ქვეყნის მიერ პროექტის მფლობელობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, და, შესაბამისად ასეთი ქმედება ქვეყნის მხრიდან მისასალმებელი იქნება.

“ათასწლეულის დახმარების კორპორაციის” კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ 2006 წლიდან პროგრამაში მონაწილე საშუალო შემოსავლებზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები გააკეთებენ კონტრიბუციას მათი ეროვნული ბიუჯეტის შესაბამისად, ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

გარანტირებულია თუ არა დაფინანსება ყველა პროგრამაში მინაწილეობაზე უფლებამოსილ ქვეყნისათვის?

არა. დაფინანსების მისაღებად პროგრამაში მონაწილეობაზე უფლებამოსილი ქვეყნები უნდა შეთანხმებამდე მივიდნენ “კორპორაციასთან” ხელშეკრულებასთან მიმართებაში, რომელიც განიზრახავს ეკონომიკური განვითარების გზით სიღარიბის შემცირებას. თუ ქვეყანა და “კორპორაცია” ვერ აღწევენ შეთანხმებას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ქვეყანა დაფინანსებას ვერ იღებს.

დაწესებული აქვს თუ არა “ათასწლეულის დახმარების კორპორაციას” სპეციფიური კვოტები პროგრამაში მონაწილეობაზე უფლებამოსილ ქვეყნებისთვის?

“კორპორაციას” არ გააჩნია კვოტების სისტემა. გაითვალისწინებს რა “კორპორაცია” ქვეყნის ეკონომიკის მოცულობას, მისი მოსახლეობის რაოდენობას, ასევე სხვა დონორების დაფინანსებას, გადაწყვეტილებები დაფინანსების თაობაზე მიღებულ იქნება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, მასშტაბებსა და სავარაუდო ღირებულებაზე დაყრდნობით. ქვეყნის მიერ ღირებულების გაანგარიშების დოკუმენტაციის ხარისხი ზეგავლენას იქონიებს “კორპორაციის” მიერ ქვეყნის წარდგენილი განაცხადის შეფასებაზე. ამან შესაძლოა განაპირობოს რამდენად სწრაფად დაიწყება ფართო და დეტალური მოლაპარაკებები ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

რა როლს ითამაშებს “კორპორაციის” პროგრამაში მონაწილეობის უფლებამოსილების მოთხოვნების კრიტერიუმები შემდგომში?

პროგრამაში მონაწილეობაზე უფლებამოსილ ქვეყნებმა უნდა გააგრძელონ პოლიტიკის სფეროების (კანონიერი მმართველობა, ინვესტირება ხალხში, ეკონომიკური თავისუფლების ხელის შეწყობა) იმ საქმიანობის შენარჩუნება ან გაუმჯობესება, რომელნიც იზომება "კორპორაციის" თექსვმეტი ინგიკატორით. მიუხედავად იმისა, რომ "კორპორაცია", რა თქმა უნდა, განიხილავს ქვეყანაში წამოჭრილი სირთულეების მიზეზებს, ნებისმიერი ინდიკატორის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლოა დაფინანსების შეწყვეტის მიზეზი გახდეს. ეს მოთხოვნა ასახული იქნება "კორპორაციასა" და ქვეყნის შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

რა შეიძლება გახდეს ხელშეკრულებაში მყოფი ქვეყნისთვის დაფინანსების შეწყვეტის მიზეზი?

ხელშეკრულების დადების შემდეგ დაფინანსება შესაძლებელია გადაიდოს ან შეწყდეს, თუკი ქვეყანამ ან კონკრეტულ ორგანიზაციამ არ შეასრულა ხელშეკრულებაში წარმოდგენილი მოვალეობები. მიზეზებს (არ შემოიფარგლება ამით), რომლის შედეგად შესაძლებელია ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი დაფინანსების გადადება ან შეწყვეტა მოხდეს განეკუთნება: წარუმატებლობა ხელშეკრულებაში შეთანხმებული საქმიანობის მიზნების მიღწევაში ან სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუარესება, ან ქმედებების მაგალითები რომელიც ვერ შეესაბამება "კორპორაციის" იმ ინდიკატორებს, რომლებიც იქნა გამოყენებული ქვეყნის პროგრამაში მონაწილედ შერჩევის დროს.